



European Union

COBERM Confidence Building Early Response Mechanism

A joint EU-UNDP initiative



Empowered lives.
Resilient nations.

COBERM III – პროექტის იდეების კონკურსი (მესამე რაუნდი)

COBERM-ი, ევროკავშირისა და გაერო-ს განვითარების პროგრამის ერთობლივი ინიციატივა, აცხადებს საპროექტო იდეების მიღებას სამოქალაქო საზოგადოების - დარეგისტრირებული ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, ფონდებისა და აკადემიური დაწესებულებებისგან. საპროექტო იდეები უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ მიზნებს:

- 1) ადამიანებს შორის ნდობის დამყარების ინოვაციური შესაძლებლობების გამოვლენის ხელშეწყობა;
- 2) მშვიდობის, სტაბილურობის და ადამიანების უსაფრთხოების ხელშემწყობი გარემოს შექმნა.

ზოგადი ინფორმაცია

COBERM-ი არის საგრანტო პროგრამა, რომელიც მხარს უჭერს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ინიციატივებს სხვადასხვა სფეროებსა და საქმიანობებში, მათ შორის კონფლიქტით დაზარალებული ადგილობრივი თემების ცხოვრებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიმართულებით. COBERM-ი 2010 წლის მაისში შეიქმნა, მისი ორი ფაზა 2010 – 2015 წლებში განხორციელდა; ხოლო მესამე ფაზა 2016 წლის იანვარში დაიწყო.

COBERM-ი არის ევროკავშირისა და გაერო-ს განვითარების პროგრამის ერთობლივი, აპოლიტიკური, მიუკერძოებელი და მოქნილი პროგრამა, რომელსაც აფინანსებს ევროკავშირი და ახორციელებს გაერო-ს განვითარების პროგრამა.

კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია, გამოვლინდეს ისეთი საპროექტო წინადადებები, რომლებიც გვთავაზობენ თანამშრომლობის გაღრმავებას, მოახდენენ თვალსაჩინო დადებით ზეგავლენას ნდობის მშენებლობაზე, ასევე დამოკიდებულებებსა და ქცევებზე და ხელს შეუწყობენ კონფლიქტის ტრანსფორმაციას.

უპირატესობა მიენიჭება:

- პროექტებს, რომლებიც აძლიერებენ კომუნიკაციასა და ურთიერთობებს ექსპერტებს, პროფესიონალებს, ორგანიზაციებსა და ადგილობრივ, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ თემებს შორის და გვთავაზობენ გაუმჯობესებულ თანამშრომლობას ერთობლივ, პრაგმატული მნიშვნელობის საკითხებზე, თვალსაჩინო ზეგავლენით კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესზე.
- პროექტები, რომლებიც გვთავაზობენ განსაკუთრებულ ახალ მიდგომებს, პასუხობენ ნდობის დამყარების ფართო სპექტრსა და კონფლიქტით დაზარალებული თემების წინაშე არსებულ გამოწვევებს.
- პროექტები, რომლებიც გვთავაზობენ შიდა საზოგადოებრივ დისკუსიებს სამშვიდობო ინიციატივებზე, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე, სტერეოტიპების შეცვლაზე საზოგადოებაში, რაც მიზნად ისახავს დამოკიდებულებების და ქცევების პოზიტიურ ცვლილებებს, გაამყარებს მშვიდობის მშენებლობის საფუძველს და უზრუნველყოფს სამშვიდობო ინიციატივების მიმართ საკუთრების შეგრძნებას ადგილობრივ დონეზე.
- ასევე შესაძლებელია დაფინანსდეს კონფლიქტის პრევენციის ძლიერი ელემენტების მქონე პროექტებიც, რომლებიც საკუთარ თემში კონფლიქტის მიზეზების აღმოფხვრას ისახავენ მიზნად.

COBERM III - ის თემატური პრიორიტეტები არის მოქნილი იმდენად, რამდენადაც პროექტის იდეა წარმოაჩენს ნდობის მშენებლობის ძლიერ პოტენციალს.

მნიშვნელოვანია: იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს საქმიანობების და განმახორციელებლების დივერსიფიკაცია, ერთი ორგანიზაციისათვის გაცემული მაქსიმალური მოთხოვნილი დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 150,000 აშშ დოლარს. სამ წელზე ნაკლები გამოცდილების მქონე ორგანიზაციის დაფინანსების ზედა ზღვარს კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭო. რეკომენდებულია განმცხადებლის მიერ თანადაფინანსება.

განაცხადის წარდგენის საბოლოო ვადა:

პროექტის იდეებს ვიღებთ 2017 წლის 5 მაისის 18.00 საათამდე, ამ ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი არცერთი განაცხადი არ მიიღება.

პროექტის იდეის წარდგენა:

თუ გაქვთ პროექტის იდეა, რომელიც წვლილს შეიტანს COBERM -ის მიზნების მიღწევაში, თუ შეიძლება შეავსეთ პროექტის იდეის წარდგენის სტანდარტული ფორმა (იხილეთ დანართი 1) და წარმოადგინეთ ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე: coberm@undp.org

პროექტის იდეის შერჩევის კრიტერიუმები:

- 1) COBERM-ის მიზნებთან თანხვედრა;
- 2) რამდენად ეხმიანება დაგეგმილი საქმიანობა კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების და ადგილობრივი თემების საჭიროებებს და ახდენს ხელშესახებ გავლენას მათი ცხოვრების გაუმჯობესებაზე;
- 3) პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის შედეგები არ უნდა იწვევდეს რაიმე ზიანს ან პოტენციურ უარყოფით გავლენას;
- 4) პროექტი გამიზნული უნდა იყოს კონფლიქტით დაზარალებული ჯგუფებსა და თემებს შორის ურთიერთობებზე, და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდეს ქალებსა და ახალგაზრდებს, და/ან გენდერულ თანასწორობასა და თანაბარ შესაძლებლობებს;
- 5) პროექტის განხორციელებადობა - განსაზღვრული პრობლემის დასაბუთებული ანალიზი და მის მოგვარებაში წვლილის შეტანის შესაძლებლობის დასაბუთება, გარეშე დაინტერესებული პირების ანალიზი და სხვა;
- 6) გაზომვადი და რეალისტური გრძელვადიანი შედეგები (ობიექტურად დადასტურებადი ინდიკატორები);
- 7) შეთავაზებული ძალისხმევის დემონსტრირებული მდგრადობა;
- 8) ეფექტური ხარჯვა და რესურსების შესაბამისობა პროექტის მოსალოდნელ შედეგებთან.

შერჩევის პროცესი

ყველა იდეას განიხილავს ევროკავშირი/გაერო-ს განვითარების პროგრამის შეფასების კომისია და სამეთვალყურეო საბჭო. ევროკავშირი/გაეროს განვითარების პროგრამის სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტს, ვინ იქნება მიწვეული სრული საპროექტო განაცხადის წარსადგენად, შესაბამისად შერჩეული განმცხადებლები მიიღებენ შეტყობინებას.

განმცხადებლების დაშვების კრიტერიუმები

- იყოს რეგისტრირებული როგორც არა-მომგებიანი, არა-კომერციული ორგანიზაცია და ჰქონდეს საბანკო ანგარიში;
- ჰქონდეს პროექტის განხორციელებისათვის სათანადო ადმინისტრაციული, ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობა;
- წარმოადგინოს დონორებთან ურთიერთობის გამოცდილების კარგი ისტორია.

მნიშვნელოვანია:

უპირატესობა ენიჭება ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციებსაც შეუძლიათ მონაწილეობა; თუმცა განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ფასის ფაქტორს (არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის რეკომენდებულია თანადაფინანსების მოძიება), აგრეთვე საერთაშორისო სტატუსი/წვლილი შესძენს დამატებით ღირებულებას.

არასამთავრობო ორგანიზაციების კონსორციუმებს, ახლად შექმნილ ორგანიზაციებს ან ორგანიზაციებს, რომლებსაც არ აქვთ საერთაშორისო დონორებთან ურთიერთობის

გამოცდილება ასევე შეუძლიათ განაცხადის წარდგენა, თუ სხვა ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმები დაკმაყოფილებული იქნება.

ქალთა და/ან ქალების ხელმძღვანელობით მომუშავე, ასევე ახალგაზრდულ ორგანიზაციებს ვიწვევთ თანამშრომლობისთვის.

უპირატესობა მიენიჭება ინოვაციურ, შემოქმედებით აქტივობებს, ასევე იდეებს, სადაც ნათლად ჩანს ცვლილების შესაძლებლობა.

განმცხადებლებს, რომლებმაც ადრე წარუდგინეს იდეა COBERM-ს, მაგრამ არ იქნენ შერჩეულნი ასევე შეუძლიათ მონაწილეობა ახალი საპროექტო იდეით, თუ ის სრულად აკმაყოფილებს დასაშვებობის კრიტერიუმებს.

ასევე რეკომენდებულია პარალელური პროექტების წარდგენა.

განცხადება პასუხისმგებლობის თავიდან არიდების შესახებ: COBERM დაადასტურებს ყოველი განაცხადის მიღებას მინიმუმ სამი სამუშაო დღის ვადაში; იმ შემთხვევაში თუ თქვენი განაცხადის მიღების შესახებ დასტურს არ მიიღებთ, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ მისამართზე: coberm@undp.org

გაერო-ს განვითარების პროგრამა არ არის პასუხისმგებელი რაიმე ტექნიკურ პრობლემაზე, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს თქვენი განაცხადის დაგვიანებით მიღება და/ან დაკარგვა.